494.35
ს-447

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნათია სეხნიაშვილი

-DIK-, -(y)AcAK- სუფიქსებიანი ნაზმნარი სახელები თურქულ ენაში

10.02.06 - თურქული ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მარიკა ჯიქია**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნოდარ ჯანაშია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნუნუ გურგენიძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 28 მაისს 14^{00} საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს P10.06 № 9 სხდომაზე.
მისამართი: თბილისი, 0162, აკად. გ წერეთლის ქ. №3.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
მისამართი: თბილისი, 0162, აკად. გ წერეთლის ქ. №3.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 26 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **დ. სვანი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის საგანი და მიზანი. თურქულ ენებში ფართოდ არის გავრცელებული ნაზმნარი სახელები, რომლებსაც მიეკუთვნებიან: ზმნის სუბსტანტივური ფორმები – მასდარები, ადიექტური ფორმები – მიმღეობები და ადვერბული ფორმები – აბსოლუტივები.

თურქულ ენებში არსებულ ნაზმნარ სახელთა შორის განსაკუთრებულად დატვირთულია -DIK-, -(y)AcAK- სუფიქსებიანი მოქმედების სახელები. მოცემული პოლისემანტიკურ-პოლიფუნქციური ფორმები ავლენენ როგორც მიმღეობების, ასევე მასდარებისა და აბსოლუტივების თვისებებს. -DIK-, -(y)AcAK- ფორმების შემცველი შესიტყვებები ქმნიან წინადადების მეორე ცენტრს და სემანტიკურად თუ ფუნქციურად შეესაბამებიან სხვადასხვა წარმომავლობის ენების (ინდოევროპული, ქართველური) დამოკიდებულ წინადადებებს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია -DIK-, -(y)AcAK- სუფიქსებიანი მოქმედების სახელების ფორმალური და სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზი დიაქრონიულსა და სინქრონიულ ასპექტში.

-DIK-, -(y)AcAK- ფორმების შემცველი შესიტყვებები შედარებულია თურქულ ენათა ოჯახის ოღუზური ჯგუფის ენებში არსებულ შესაბამის კონსტრუქციებთან.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა. -DIK-, -(y)AcAK- სუფიქსებიანი ნაზმნარი სახელების შესწავლისას ჩვენი ყურადღება რამდენიმე თავისებურებამ მიიპყრო: გრამატიკოსები -DIK-, -(y)AcAK- ფორმებს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ. ზოგი მკვლევარი მათ ოდენ მიმღეობათა რიგში განიხილავს, მეცნიერთა ნაწილი -DIK-, -(y)AcAK- ფორმებს მიმღეობებად და მასდარებად მოიხსენიებს, ზოგი გრამატიკოსი კი მათ მიმღეობებად და აბსოლუტივებად მიიჩნევს. ამდენად, -DIK-, -(y)AcAK- ფორმების სახელდებისას შეინიშნება ტერმინოლოგიური სიჭრელე. -DIK-, -(y)AcAK- მოქმედების სახელების შემცველ კონსტრუქციებს სამეცნიერო ლიტერატურაში მარტივი წინადადების გავრცობილ პრედიკატულ წევრებად მიიჩნევენ ან რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებებად მოიხსენიებენ. ამდენად, დასახელებული სუფიქსებიანი ფორმების ამომწურავი ანალიზი აქტუალურია და კვლევას მოითხოვს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში მაქსიმალურად არის თავმოყრილი -DIK-, -(y)AcAK- სუფიქსებიანი ფორმები. გაანალიზებულია აღნიშნული ნაზმნარი სახელების შემცველი სპეციფიკური შესიტყვებები. დადგენილია სემანტიკური და ფუნქციური ნიშნები. ჩატარებულია სრული ფორმალური ანალიზი.

სადისერტაციო კვლევის მეთოდი. კვლევის მიზნებიდან და პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე, გამოყენებულია დესკრიფციული მეთოდი. დიაქრონიული მეთოდით გათვალისწინებულ იქნა -DIK-, -y)AcAK- სუფიქსებიან ფორმათა განვითარების სხვადასხვა ეტაპები. საჭიროებისამებრ, მოშველიებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდიც.